

საქართველოს

შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს

სახელმწიფო უნივერსიტეტი

ბაკალავრიატის აკადემიურ საფეხურზე

ერთიან ეროვნულ გამოცდებამდე

კონკურსის (შემოქმედებითი ტურის)

წესები და მოთხოვნები

2017–2018 სასწავლო წელი

1. უნივერსიტეტში ბაკალავრიატის აკადემიურ საფეხურზე მიღება ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესების შესაბამისად.
2. უნივერსიტეტში ბაკალავრიატის აკადემიურ საფეხურზე სწავლა მიმდინარეობს 4 სასწავლო წლის განმავლობაში.
ასათვისებელი კრედიტების რაოდენობა - 240 (წელიწადში 60 კრედიტი).
სწავლის წლიური გადასახადი - 2250 ლარი.
3. დრამისა და კინო-ტელე ფაკულტეტებზე ჩასარიცხად ერთიან ეროვნულ გამოცდებამდე, აბიტურიენტი უნივერსიტეტში გადის კონკურსს - შემოქმედებითი ტური „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის VIII თავის, 52-ე მუხლის, მე-2 პუნქტის შესაბამისად (სახელოვნებო და სასპორტო უმაღლესი განათლების მისაღებად აბიტურიენტი ერთიან ეროვნულ გამოცდამდე გადის შესაბამის კონკურსს სახელოვნებო და სასპორტო უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ დადგენილი წესით).
4. ჰუმანიტარულ, სოციალურ მეცნიერებათა, ბიზნესისა და მართვის ფაკულტეტზე არ ტარდება შემოქმედებითი კონკურსი, აბიტურიენტების ჩარიცხვა ხდება ერთიან ეროვნული გამოცდების წარმატებით ჩაბარების შედეგად.
5. შემოქმედებით ტურში მონაწილეობის მისაღებად აბიტურიენტმა რეგისტრაცია უნდა გაიაროს საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტში და მიუთითოს შეფასებისა და გამოცდების ეროვნულ ცენტრში ერთიან ეროვნულ გამოცდებზე რეგისტრირებული შესაბამისი პროგრამა.
6. უნივერსიტეტში რეგისტრაცია დაიწყება 2017 წლის 15 მაისს და გაგრძელდება 5 ივნისის ჩათვლით.
 - აბიტურიენტები რეგისტრაციას მხოლოდ ინტერნეტით, საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის ვებგვერდზე (www.tafu.edu.ge) გაივლიან.
 - რეგისტრაციისათვის აბიტურიენტმა უნდა გადაიხადოს შემოქმედებით ტურში მონაწილეობის საფასური.
 - მომსახურების საფასურია 60 (სამოცი) ლარი.

- თანხის შეტანა ხდება უნივერსიტეტის საბანკო ანგარიშზე
საიდენტიფიკაციო კოდი: 203851028
ბანკი: სახელმწიფო ხაზინა
ბანკის კოდი: TRESGE22
სხვა არაკლასიფიცირებული შემოსავლები (რეგისტრაცია): 7 0888 7519
- გადახდის დანიშნულებაში უნდა ჩაიწეროს აბიტურიენტის გვარი, სახელი, 11 ნიშნა პირადი ნომერი (უცხო ქვეყნის მოქალაქეებმა პირადი ნომრის არ არსებობის შემთხვევაში უნდა მიუთითონ პასპორტის ნომერი).
- თანხის გადაუხდელობის შემთხვევაში რეგისტრაცია არ განხორციელდება.
- შემოქმედებით ტურებში მონაწილეობის მსურველებმა რეგისტრაცია უნდა გაიარონ აღნიშნულ ვადებში.
- სარეგისტრაციო ვადის ამოწურვის შემდეგ აბიტურიენტები ვეღარ დარეგისტრირდებიან.

7. სტუდენტის სტატუსის მოსაპოვებლად (დრამისა და კინო-ტელე ფაკულტეტებზე) აბიტურიენტმა წარმატებით უნდა ჩააბაროს შემოქმედებითი ტური და ერთიან ეროვნულ გამოცდებში გადალახოს მინიმალური ზღვარი სავალდებულო საგნებში (ქართული ენა და ლიტერატურა, ზოგადი უნარები, უცხოური ენა).
8. სახელმწიფო სასწავლო გრანტის მოსაპოვებლად აბიტურიენტმა ერთიან ეროვნულ გამოცდებში სავალდებულო საგნებთან ერთად წარმატებით უნდა ჩააბაროს გამოცდა მეოთხე არჩევით საგანშიც (ლიტერატურა, მათემატიკა, ისტორია, გეოგრაფია, ქიმია, ფიზიკა, ბიოლოგია, სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება, სამოქალაქო განათლება).
9. უცხო ქვეყნის მოქალაქეები უნივერსიტეტში ჩაირიცხებიან ერთიანი ეროვნული გამოცდების გარეშე, „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 52-ე მუხლის მე-3 ნაწილისა და „ერთიანი ეროვნული გამოცდების ჩატარების დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 18 თებერვლის №19/ნ ბრძანებით დამტკიცებული ერთიანი ეროვნული გამოცდების ჩატარების დებულების მე-8 მუხლის შესაბამისად.
10. საქართველოს მოქალაქე ის აბიტურიენტები, რომლებსაც დამთავრებული აქვთ რუსული, სომხური, აზერბაიჯანული, აფხაზური ან ოსური სკოლა, კონკურსს გადიან საერთო წესით, სახელმწიფო ენაზე.

11. აბიტურიენტი, რომელიც შეფასებისა და გამოცდების ეროვნულ ცენტრში ერთიან ეროვნულ გამოცდებზე დარეგისტრირდა საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის რამდენიმე პროგრამულ კონცენტრაციაზე, შემოქმედებითი კონკურსი უნდა გაიაროს მის მიერ დასახელებულ ყველა საშემსრულებლო პროგრამაზე დადგენილი წესით.
12. თუ აბიტურიენტმა ვერ მოიპოვა ჩარიცხვისათვის საჭირო ქულა მის მიერ არჩეულ პირველ პროგრამაზე, მაშინ მისი საკითხი განიხილება ჩამონათვალში მითითებულ მეორე პროგრამაზე და ა.შ.
13. შემოქმედებითი კონკურსის მიმდინარეობის ცხრილს ადგენს მიმღები კომისია.
14. უნივერსიტეტში შემოქმედებითი კონკურსი დაიწყება 2017 წლის 7 ივნისს.
15. კონკურსში მონაწილე აბიტურიენტს აფასებს საგამოცდო კომისია.
16. არადამაკმაყოფილებელი შეფასების მიღების ან გამოუცხადებლობის შემთხვევაში აბიტურიენტი არ დაიშვება კონკურსის შემდგომ ეტაპზე.
17. კონკურსის მიმდინარეობის პროცესში აბიტურიენტი უზრუნველყოფილი იქნება საჭირო რეკვიზიტით და ტექნიკით, მუსიკალური ინსტრუმენტებით და ა.შ.
18. აბიტურიენტი ვალდებულია კონკურსზე გამოცხადდეს ნახევარი საათით ადრე და თან იქონიოს პირადობის დამადასტურებელი მოწმობა.
19. კონკურსის მიმდინარეობის პროცესში აბიტურიენტს უფლება აქვს თან იქონიოს წყალი და პირადი ჰიგიენის საგნები;
20. კონკურსის მიმდინარეობის პროცესში აბიტურიენტს ეკრძალება:
 - Ñ მობილური ტელეფონის ან სხვა ელექტროაპარატურის შეტანა;
 - Ñ დამხმარე მასალის – სახელმძღვანელოების, ფურცლების და სხვადასხვა სახის ჩანაწერების გამოყენება;
 - Ñ გადალაპარაკება, დახმარების გაწევა ან მიღება რაიმე ფორმით, სხვა აბიტურიენტისათვის რაიმე ფორმით ხელის შეშლა;
 - Ñ საგამოცდო პროცესის თვითნებურად დატოვება.
21. მე-20 პუნქტში მითითებული მოთხოვნების დარღვევის შემთხვევაში აბიტურიენტს მიეცემა გაფრთხილება. გაფრთხილების გარეშე აბიტურიენტის კონკურსიდან მოხსნა შესაძლებელია საზოგადოებრივი წესრიგის უხეში დარღვევის, საგამოცდო პროცესში მონაწილე პირის შეურაცხყოფის ან სხვა მსგავს შემთხვევაში.

22. აბიტურიენტთა შეფასების წესი შემოქმედებით ტურებზე

- უნივერსიტეტის დრამის და კინო-ტელე ფაკულტეტებზე შემოქმედებით ტურებზე და გამოცდებზე (კონკურსზე) აბიტურიენტთა ცოდნისა და მონაცემების შეფასება ხდება 100 ქულიანი სისტემით. კონკურსში მონაწილეობისათვის საჭირო მინიმალური შეფასება არის 31 ქულა, შესაბამისად 30 ქულა ნიშნავს არაადამაკმაყოფილებელ შეფასებას (ჩაჭრა).
- პროგრამულ კონცენტრაციაზე - „მსახიობი - დრამისა და კინოს მსახიობი“ I და II შესარჩევი ტურების წარმატებით გავლის შედეგად აბიტურიენტი გადავა შემდეგ ეტაპზე (გამოცდა). შეფასების 100 ქულიანი სისტემა მოქმედებს მხოლოდ გამოცდაზე, სწორედ ეს იქნება აბიტურიენტის საბოლოო შეფასება.
- პროგრამულ კონცენტრაციაზე - „ქართული ხალხური და საეკლესიო გუნდის დირიჟორი“ I შესარჩევი ტურების წარმატებით გავლის შედეგად აბიტურიენტი გადავა შემდეგ ეტაპზე (გამოცდა). შეფასების 100 ქულიანი სისტემა მოქმედებს მხოლოდ გამოცდაზე, სწორედ ეს იქნება აბიტურიენტის საბოლოო შეფასება.
- პროგრამულ კონცენტრაციებზე „აუდიო-ვიზუალური რეჟისურა: ტელე რეჟისურა და ხმის რეჟისურა“ კონკურსი ორ ეტაპად ტარდება. კონკურსის ორივე ეტაპზე, აბიტურიენტი ცალ-ცალკე ფასდება 100 ქულიანი სისტემით ორ დამოუკიდებელ უწყისში, ხოლო საბოლოო შეფასება მიიღება საშუალო არითმეტიკულის პრინციპით. პრაქტიკულისა და გასაუბრების, ან წერისა და გასაუბრების ორი დამოუკიდებელი ნიშანი იკრიბება და იყოფა ორზე, რის შედეგადაც იწერება ერთი საერთო, საბოლოო ქულა. ზუსტი ქულის მისაღებად, საბოლოო ქულა მეტობით, აბიტურიენტის სასარგებლოდ გამოიყვანება. მაგალითად: თუ კონკურსის ერთ ეტაპზე აბიტურიენტმა 75 ქულიანი შეფასება მიიღო, ხოლო მეორე ეტაპზე 60, მისი საბოლოო შეფასება შემდეგნაირად გამოითვლება $(75 + 60) : 2 = 135 : 2$. მიღებული 67,5 ქულა აბიტურიენტის სასარგებლოდ მეტობით დამრგვალდება და მიიღება 68 ქულა. სწორედ ეს იქნება აბიტურიენტის საბოლოო შეფასება. ორ ეტაპად ჩატარებული კონკურსის ორივე უწყისი შეინახება მიმდებ კომისიაში. (თითოეულ ტურზე მინიმალური შეფასება არის 31 ქულა).

23. უნივერსიტეტი უზრუნველყოფს კონკურსის შედეგების უნივერსიტეტის ოფიციალურ ვებგვერდზე www.tafu.edu.ge განთავსებას ყოველი ტურის ან გამოცდის დასრულებიდან 8 საათის განმავლობაში.

24. უნივერსიტეტში მისაღები შემოქმედებითი კონკურსის მიმდინარეობა გადაღებული იქნება ვიდეოფორზე და შეინახება უნივერსიტეტის არქივში. ვიდეომასალა აღნიშნული ვიდეომასალა წარმოადგენს უნივერსიტეტის დაცულ ინფორმაციას და აბიტურიენტზე არ გაიცემა.

25. რექტორის ბრძანებით, კონკურსის პერიოდში, უნივერსიტეტში იმუშავებს სააპელაციო კომისია

- აბიტურიენტი უფლებამოსილია შეიტანოს სააპელაციო განცხადება სააპელაციო კომისიის სახელზე შემოქმედებითი კონკურსის შედეგების გამოცხადებიდან 24 საათის განმავლობაში.
- სააპელაციო კომისია განიხილავს აპელანტის განცხადებას და საჭიროების შემთხვევაში ნახულობს ტურის/გამოცდის ვიდეოჩანაწერს.
- სააპელაციო განხილვას ესწრება მხოლოდ აბიტურიენტი.
- სააპელაციო კომისია უფლებამოსილია აბიტურიენტს ნება დართოს ხელმეორედ გაიაროს შესაბამისი საკონკურსო ეტაპი.
- სააპელაციო კომისიის გადაწყვეტილება ფორმდება წერილობით.
- სააპელაციო კომისიის გადაწყვეტილება საბოლოოა.
- აბიტურიენტის აპელაციის განხილვის საფასურია 40 (ორმოცი) ლარი.
- თანხის შეტანა ხდება უნივერსიტეტის საბანკო ანგარიშზე

საიდენტიფიკაციო კოდი: 203851028

ბანკი: სახელმწიფო ხაზინა

ბანკის კოდი: TRESGE22

სხვა არაკლასიფიცირებული შემოსავლები (აპელაცია): 7 0888 7519

- გადახდის დანიშნულებაში უნდა ჩაიწეროს აბიტურიენტის გვარი, სახელი, 11 ნიშნა პირადი ნომერი (უცხო ქვეყნის მოქალაქეებმა პირადი ნომრის არ არსებობის შემთხვევაში უნდა მიუთითონ პასპორტის ნომერი).

26. მიმღები კომისიის წევრი ან დამკვირვებელი არ დაიშვება შემოქმედებით ტურებზე,

თუ:

- № ნებისმიერი სახით, პირდაპირ და უშუალოდ არის დაინტერესებული უნივერსიტეტში ჩასატარებელი შემოქმედებითი კონკურსის შედეგებით.
- № პირი, რომლის ნათესავი მონაწილეობს კონკურსში (ნათესავად ითვლება ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 92-ე მუხლით განსაზღვრული პირი).
- № დამკვირვებელს ეკრძალება კონკურსის პროცესში რაიმე ფორმით ჩარევა.

27. უნივერსიტეტის მიერ კონკურსის შედეგები მიეწოდება შეფასებისა და გამოცდების ეროვნულ ცენტრს, ერთიანი ეროვნული გამოცდების დაწყებამდე 5 დღით ადრე.

28. ჩარიცხული აბიტურიენტი ვალდებულია ერთიანი ეროვნული გამოცდების ჩატარების დებულებით გათვალისწინებულ ვადაში გამოცხადდეს უნივერსიტეტში, გაიაროს რეგისტრაცია და გააფორმოს ხელშეკრულება, რისთვისაც უნდა წარმოადგინოს:

- № სრული ზოგადი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი
- № ვაჟებმა - სამხედრო აღრიცხვაზე ყოფნის დამადასტურებელი დოკუმენტი ამსათანავე,
- № 4 ფოტოსურათი - (3 X 4) და ბიომეტრული ფოტოსურათი (CD)
- № პირადობის მოწმობის ასლი (რომელიც შედარდება დედანს).

საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტში,
2017-2018 სასწავლო წლისათვის ბაკალავრიატის აკადემიურ საფეხურზე
აბიტურიენტთა მიღება იწარმოებს შემდეგ ფაკულტეტებზე

1. დრამის ფაკულტეტი

დეკანი - პროფესორი გიორგი შალუტაშვილი აცხადებს მიღებას საშემსრულებლო-
შემოქმედებითი ხელოვნების საბაკალავრო პროგრამის შემდეგ პროგრამულ
კონცენტრაციებზე:

1. მსახიობი - დრამისა და კინოს მსახიობი - 22 ადგილი;
მისანიჭებელი კვალიფიკაცია - თეატრალური ხელოვნების ბაკალავრი.

მსახიობის კონცენტრაციაზე აბიტურიენტის შესარჩევი კონკურსი (შემოქმედებითი
ტური) ტარდება სამ ეტაპად: I შესარჩევი ტური, II შესარჩევი ტური და გამოცდა.

*❖ შემოქმედებითი ტური დრამისა და კინოს მსახიობის პროგრამულ
კონცენტრაციაზე*

I ტური - პირველ შესარჩევ ტურზე მოწმდება აბიტურიენტის ფიზიკური
მონაცემები, მეტყველება, მუსიკალური სმენა, რიტმის შეგრძნება, პლასტიკა; აქვს თუ
არა გამოუსწორებელი ორგანული დეფექტი, შეუთავსებელი პროფესიულ
მოთხოვნებთან. შესარჩევი ტურისათვის აბიტურიენტი ვალდებულია მოამზადოს
სიმღერა, საცეკვაო ნომერი, იგავ-არაკი, პოეტური და პროზაული ნაწარმოები (პირველი
ტურისათვის პროზაული ნაწარმოების წაკითხვის ხანგრძლივობა არ უნდა
აღემატებოდეს 5 წუთს).

II ტური - მეორე შესარჩევ ტურზე აბიტურიენტი კვლავ წარმოადგენს სიმღერას,
საცეკვაო ნომერს, იგავ-არაკს, პოეტურ და პროზაულ ნაწარმოებს (მას აქვს უფლება
გაიმეოროს, ნაწილობრივ ან მთლიანად შეცვალოს პირველ ტურზე ნაჩვენები
პროგრამა). ამასთან, წარმოდგენილი პროგრამა მან უკვე უნდა შეასრულოს საგამოცდო
კომისიის მიერ მიცემული გარკვეული ამოცანით.

გ ა მ ო ც დ ა - გამოცდაზე გასული აბიტურიენტისათვის მოთხოვნები კიდევ უფრო რთულდება. აბიტურიენტმა უნდა შეასრულოს სიმღერა, საცეკვაო ნომერი, იგავ- არაკვი, პოეტური და პროზაული ნაწარმოები (მას აქვს უფლება გაიმეოროს, მთლიანად ან ნაწილობრივ შეცვალოს შესარჩევ ტურებზე წარმოდგენილი პროგრამა). პროგრამა უნდა შესრულდეს საკონკურსო კომისიის მიერ მიცემული სხვადასხვა ამოცანით. ამას გარდა, აბიტურიენტს შესასრულებლად ეძლევა რამდენიმე ეტიუდი სხვადასხვა თემაზე, წასაკითხად ეძლევა უცნობი ტექსტი, შემოწმდება აბიტურიენტის ზოგადი ცოდნა ქართული და მსოფლიო თეატრის ისტორიაში, ლიტერატურასა და ხელოვნებაში.

აბიტურიენტების სასურველი ასაკია: გოგონები 23 წლამდე, ვაჟები 25 წლამდე. შემოქმედებითი ტურები ტარდება სხვა აბიტურიენტების თანდასწრებით.

№	შეფასების კრიტერიუმები:	ქულა
	ოსტატობა	45
1	სახეობრივი აზროვნების უნარი	5
2	ჟანრისა და ნაწარმოების სტრუქტურის შეგრძნება	5
3	პოეტური ნაწარმოების მუსიკალურობის შეგრძნებისა და გადმოცემის უნარი	5
4	უცნობი ტექსტის შინაარსისა და ჟანრის გაგების უნარი	5
5	წარმოსახვის უნარი	5
6	ორგანული მოქმედების უნარი	5
7	ამბის შეთხზვისა და გადმოცემის უნარი	5
8	ამოცანის შინაარსის გაგების უნარი	5
9	მოცემული ამოცანის გადმოცემა-გათამაშების უნარი	5
	მეტყველება	20
1	არტიკულაცია და წარმოთქმა	5
2	მეტყველების ტემპო-რიტმის მართვის უნარი	5
3	ხმის დიაპაზონი	5
4	ხმის ტემბრი	5
	ვოკალი	15
1	ხმის ჟღერადობა და სიძლიერე	5
2	სმენა	5
3	სასიმღერო-საშემსრულებლო უნარები	5
	ცეკვა	15
1	პლასტიკურობა	5
2	რიტმის შეგრძნება	5
3	საცეკვაო-საშემსრულებლო უნარები	5
	თეორია	5
1	თეატრის ისტორიის ზოგადი ცოდნა	5
	სულ	100 ქულა

ქულა	უნარები/მონაცემები/ცოდნა
0	არ აქვს
1	ძალზე სუსტად
2	სუსტად
3	საშუალოდ
4	კარგად
5	ძალიან კარგად

2. ქართული ხალხური და საეკლესიო გუნდის დირიჟორი - 10 ადგილი;
მისანიჭებელი კვალიფიკაცია - მუსიკალური ხელოვნების ბაკალავრი.

ქართული ხალხური და საეკლესიო გუნდის დირიჟორის კონცენტრაციაზე აბიტურიენტის შესარჩევი კონკურსი (შემოქმედებითი ტური) ტარდება ორ ეტაპად: I შესარჩევი ტური და გამოცდა.

❖ შემოქმედებითი ტური ქართული ხალხური და საეკლესიო გუნდის დირიჟორის პროგრამულ კონცენტრაციაზე

I ტური - პირველ შესარჩევ ტურზე მოწმდება აბიტურიენტის მუსიკალური მონაცემები: სმენა, ხმა, ინტონირება; აქვს თუ არა გამართული სასიმღერო აპარატი. აბიტურიენტმა უნდა შეძლოს გაიმეოროს შეთავაზებული მელოდია. გამოიცნოს ინტერვალები, გამოამჟღავნოს მუსიკალური ელემენტარული თეორიის ცოდნა. მას უნდა ჰქონდეს ლოტბარ-რეგენტის უნარები, მანუალური ტექნიკა.

გამოცდა - გამოცდაზე გასული აბიტურიენტისათვის მოთხოვნები რთულდება. აბიტურიენტმა უნდა შეასრულოს ჩამონათვალში მითითებული, კომისიის მიერ შერჩეული სიმღერა და საგალობელი ხმათა მონაცვლეობით. შემოწმდება აბიტურიენტის ცოდნა, როგორც ხალხური სიმღერის ლოტბარების, სოლისტ-მომღერლების, ასევე ქართველ კომპოზიტორთა შემოქმედების ირგვლივ. მოეთხოვებათ მსოფლიო მუსიკის ისტორიის ზოგადი ცოდნა. აუცილებელია აბიტურიენტი ფლობდეს რომელიმე ინსტრუმენტს (ფორტეპიანო, ქართული ხალხური საკრავები).

ქართული ხალხური სიმღერა 1. “კახური ლაშქრული” 2. “ქართველო, ხელი ხმალს იკარ” 3. “გაფრინდი, შავო მერცხალო” 4. “ცელო, მოუსვი ბალახსა” 5. “წაიყვანეს თამარ ქალი” 6. “საფერხულო” /ვახტანგ მეფე/ 7. “წინწყარო” 8. “ნეტავი, გოგო” 9. “შინა ორგილ” 10. “ყანსავ ყიფიანე” 11. “ზროლის ყელსა” 12. “იმერული მგზავრული” 13. “აკა სი რექ იშო” 14. “ჩელა” 15. “ბატონები” 16. “მივალ გურიამი”

საეკლესიო გალობა 1. “ჯვარსა შენსა” (ქართლ-კახური კილო); 2. “ღმერთი უფალი” (ქართლ-კახური კილო); 3. “წმიდაო ღმერთო” (ქართლ-კახური კილო); 4. “ღმერთი უფალი” (იმერულ-გურული კილო); 5. “წმიდაო ღმერთო” (იმერულ-გურული კილო); 6. „მეუფეო ზეცათაო” (იმერულ- გურული კილო).

№	შეფასების კრიტერიუმები	ქულა
	სასიმღერო - საშემსრულებლო უნარები	50
1	სპეციფიური ჰარმონიული სმენა	10
2	ინტონაცია	10
3	ხმათა მონაცვლეობის უნარი	10
4	კუთხური დიალექტების გამოხატვის უნარი	10
5	იშვიათი სასიმღერო მონაცემები: კახური მელიზმატიკა; გურულ-მეგრული გამყივანი და კრიმანჭული	10
	ვოკალური მონაცემები	30
1	ხმის ჟღერადობა და სიძლიერე	10
2	ხმის დიაპაზონი	10
3	ხმის ტემბრი	10
	თეორია	10
1	ქართული ხალხური სიმღერისა და საეკლესიო გალობის ოსტატების შემოქმედება. მუსიკის ისტორიის ზოგადი ცოდნა	10
	ინსტრუმენტის ფლობა	10
1	ფორტეპიანო, ქართული ხალხური საკრავები	10
	სულ	100 ქულა

ქულა	უნარები/მონაცემები/ცოდნა
0	არ აქვს
1-2	ძალზე სუსტად
3-4	სუსტად
5-6	საშუალოდ
7-8	კარგად
9-10	ძალიან კარგად

კინო-ტელე ფაკულტეტი

დეკანი - ასოცირებული პროფესორი ოთარ ლითანიშვილი აცხადებს მიღებას საშემსრულებლო-შემოქმედებითი ხელოვნების საბაკალავრო პროგრამის შემდეგ პროგრამულ კონცენტრაციებზე:

1. აუდიო-ვიზუალური რეჟისურა - ტელე რეჟისურა - 5 ადგილი
 2. აუდიო-ვიზუალური რეჟისურა - ხმის რეჟისურა - 5 ადგილი
- მისანიჭებელი კვალიფიკაცია - აუდიო - ვიზუალური ხელოვნების ბაკალავრი

❖ *შემოქმედებითი ტური ტელე რეჟისურის პროგრამულ კონცენტრაციაზე*

ტელე რეჟისურის პროგრამულ კონცენტრაციაზე აბიტურიენტის შესარჩევი კონკურსი (შემოქმედებითი ტური) ტარდება ორ ეტაპად: I ტური - წერითი გამოცდა და II ტური - გასაუბრება.

პირველ ტურზე აბიტურიენტმა წერილობით უნდა წარმოადგინოს მოკლე ავტობიოგრაფია თანდართული მოტივაციით, თუ რატომ ირჩევს ამ პროფესიას. სასურველია წარმოადგინოს:

- მის მიერ შეთხზული ლიტერატურული ნაწარმოები (მაქსიმუმ- 5 გვ.);
- ფოტოები ან ფოტორეპორტაჟი (მაქსიმუმ -10 ფოტო);
- არსებობის შემთხვევაში, მის მიერ მომზადებული ტელეპროექტი ან ფილმი.

I ტური - წერითი გამოცდა - 3 შეთავაზებული თემიდან აბიტურიენტი ირჩევს მისთვის საინტერესო თემას, რომელშიც ცხოვრებისეული დაკვირვების შედეგად დაგროვილი გამოცდილების საფუძველზე, წარმოჩინდება მისი შემოქმედებითი წარმოსახვისა და ფანტაზიის უნარი.

	წერითი გამოცდის შეფასების კრიტერიუმები	ქულა
	იდეა	30
1	სიცხადე	10
2	ორიგინალობა	10
3	აქტუალობა	10
	სიუჟეტი	30
1	კომპოზიცია	10
2	განვითარება	10
3	სტრუქტურული მთლიანობა	10
	კრეატიულობა	30
1	წარმოსახვა	10
2	სახიერი აზროვნება	10
3	მხატვრული ხედვა	10
	წერის კულტურა	10
1	მხატვრული ჩანაფიქრის ტექსტით გადმოცემის უნარი	10
	სულ	100 ქულა

II ტური - ზეპირი გამოცდა - შედეგა 2 ეტაპისგან.

1. გასაუბრება - აბიტურიენტი სასკოლო პროგრამაში არსებულ მასალებზე დაყრდნობით წარმოაჩენს ზოგად ინტელექტუალურ და განათლების დონეს ტელევიზიის, კინოხელოვნების, სახვითი ხელოვნების, მუსიკის, ლიტერატურისა და თეატრის ისტორიაში;
2. პრაქტიკული დავალებები (3 ეტიუდი). სადაც აბიტურიენტი გამოავლენს დაკვირვებისა და შემოქმედებით წარმოსახვასა და ასოციაციური აზროვნების უნარებს;

	შეფასების კრიტერიუმები	ქულა
	რეჟისორული უნარები	70
1	ფაბულის სიცხადე	10
2	სიუჟეტის განვითარება	10
3	ორიგინალური ხედვა	10
4	ანალიტიკური აზროვნება	10
5	ტექსტისა და ხმოვანი რიგის შეჯერების უნარი	10
6	სიუჟეტის დინამიკური ხედვის უნარი	10
7	მონტაჟური აზროვნების უნარი	10
	თეორია	30
1	კინოხელოვნების ისტორიის ზოგადი ცოდნა	10
2	მუსიკის ისტორიის ზოგადი ცოდნა	10
3	ლიტერატურისა და თეატრალური ხელოვნების ზოგადი ცოდნა	10
	სულ	100 ქულა

ქულა	უნარები/მონაცემები/ცოდნა
0	არ აქვს
1-2	ძალზე სუსტად
3-4	სუსტად
5-6	საშუალოდ
7-8	კარგად
9-10	ძალიან კარგად

❖ **შემოქმედებითი ტური ხმის რეჟისურის პროგრამულ კონცენტრაციაზე**

ხმის რეჟისურის პროგრამულ კონცენტრაციაზე აბიტურიენტის შესარჩევი

კონკურსი (შემოქმედებითი ტური) ტარდება ორ ეტაპად: I ტური - პრაქტიკული დავალების შესრულება და II ტური - გასაუბრება.

პირველ ტურზე აბიტურიენტი წარმოადგენს მოკლე ავტობიოგრაფიას თანდართული მოტივაციით, თუ რატომ ირჩევს ამ პროფესიას; საშუალო მუსიკალური განათლების არსებობის შემთხვევაში წარმოადგინოს შესაბამისი დამადასტურებელი საბუთი; სასურველია წარმოადგინოს მის მიერ შექმნილი მუსიკალური კლიპი ან მუსიკალური ნაწყვეტი, ან მის მიერ გაფორმებული ტელეპროექტი ან ფილმი.

I ტური - პრაქტიკული დავალების შესრულება სხვადასხვა ხასიათისა და ფორმის მუსიკალური ფრაგმენტითა და ხმოვანი რიგით (დიალოგი, მონოლოგი, ადგილმდებარეობის დამახასიათებელი ბგერები, სინქრონული ხმაური, მუსიკა), რის საფუძველზეც შემოწმდება აბიტურიენტის სმენა, რიტმის გრძნობა, ხმოვანი რიგის აღქმის უნარი, მუსიკალური შეგრძნება და მუსიკალური ჟანრის აღქმა; ვიზუალური მასალის გამოყენებით, აბიტურიენტს მიეცემა დავალება, რის საშუალებითაც შემოწმდება და გამოვლინდება მისი წარმოსახვის, ანალიტიკური ხედვის, მონტაჟური აზროვნების, სახეობრივი აზროვნების სათანადო უნარები.

№	შეფასების კრიტერიუმები:	ქულა
1	სმენა	10
2	რიტმი	10
3	წარმოსახვა	10
4	ბგერისა და ვიზუალური მასალის შეჯერების უნარი	10
5	ხმოვანი რიგის აღქმის უნარი	10
6	მუსიკალური ჟანრის აღქმის უნარი	10
7	მუსიკალური ნაწარმოების ხასიათის გადმოცემის უნარი	10
8	ანალიტიკური ხედვა	10
9	მონტაჟური აზროვნების უნარი	10
10	სახეობრივი აზროვნების უნარი	10
	სულ	100 ქულა

II ტური - კომპიუტერული ცოდნის შემოწმება (Microsoft Windows, Microsoft Word, Microsoft PowerPoint, სასურველია Nero Start Smart, Photoshop); სასკოლო პროგრამაში არსებულ მასალებზე დაყრდნობით, გასაუბრება ზოგადი განათლების გამოსავლენად (მხატვრული ლიტერატურა, ხელოვნება, მუსიკა, კინო, თეატრი)

№	შეფასების კრიტერიუმები:	ქულა
1	Microsoft Windows, Microsoft Word, Microsoft PowerPoint	10
2	ზოგადი ცოდნა სახვითი ხელოვნების ისტორიაში	10
3	ზოგადი ცოდნა კინოს ისტორიაში	10
4	ზოგადი ცოდნა თეატრის ისტორიაში	10
5	მხატვრული ლიტერატურის ზოგადი ცოდნა	10
6	ზოგადი ცოდნა მუსიკის ისტორიაში	10
7	ხელოვნების ნაწარმოებისადმი ინდივიდუალური დამოკიდებულების გამოვლენის უნარი	10
8	შედარებითი ანალიზისა და დამოუკიდებელი აზროვნების უნარი	10
9	არგუმენტირების უნარი	10
10	ხელოვნების ნაწარმოების გამომსახველობითი ენის, სტილის თავისებურებებისა და სახვითი საშუალებების გააზრებისა და გარკვეული გავლენების აღმოჩენის უნარი	10
	სულ	100 ქულა

ქულა	უნარები/მონაცემები/ცოდნა
0	არ აქვს
1-2	ძალზე სუსტად
3-4	სუსტად
5-6	საშუალოდ
7-8	კარგად
9-10	სრულყოფილად

4. ჰუმანიტარულ, სოციალურ მეცნიერებათა, ბიზნესისა და მართვის ფაკულტეტი

დეკანი პროფესორი გიორგი ცქიტიშვილი აცხადებს მიღებას შემდეგ საბაკალავრო პროგრამებზე:

1. ხელოვნების ისტორია და თეორია (თეატრმცოდნეობა, კინომცოდნეობა, ხელოვნებათმცოდნეობა) – 45 ადგილი
მისანიჭებელი კვალიფიკაცია - ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ბაკალავრი
2. მასობრივი კომუნიკაცია (ტელე – რადიო ჟურნალისტიკა) – 15 ადგილი
მისანიჭებელი კვალიფიკაცია - სოციალური მეცნიერებების ბაკალავრი
3. მენეჯმენტი (ხელოვნების) – 35 ადგილი
მისანიჭებელი კვალიფიკაცია - ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრი მენეჯმენტში
4. კულტურული ტურიზმი - 35 ადგილი
მისანიჭებელი კვალიფიკაცია - ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრი ტურიზმში

აბიტურიენტმა წარმატებით უნდა ჩააბაროს ერთიანი ეროვნული გამოცდები

საბაკალავრო პროგრამაზე - ხელოვნების ისტორია და თეორია (თეატრმცოდნეობა, კინომცოდნეობა, ხელოვნებათმცოდნეობა)

1. ქართული ენა და ლიტერატურა
2. ზოგადი უნარები
3. უცხოური ენა
4. ისტორია ან სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება

საბაკალავრო პროგრამაზე - მასობრივი კომუნიკაცია (ტელე – რადიო ჟურნალისტიკა)

1. ქართული ენა და ლიტერატურა
2. ზოგადი უნარები
3. უცხოური ენა
4. ისტორია

საბაკალავრო პროგრამაზე - მენეჯმენტი (ხელოვნების)

1. ქართული ენა და ლიტერატურა
2. ზოგადი უნარები
3. უცხოური ენა
4. მათემატიკა ან ისტორია

საბაკალავრო პროგრამაზე - კულტურული ტურიზმი

1. ქართული ენა და ლიტერატურა
2. ზოგადი უნარები
3. უცხოური ენა
4. ისტორია ან გეოგრაფია

მიმღები კომისია